



12296/3-2/21 2 16122021

12296/3-2/21

16-12-2021

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ ვახტანგ გომელაურს

ბატონო ვახტანგ,

მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით:

1. 2020 წლის 19 აგვისტოს თელავის მუნიციპალიტეტში სოფელ კონდოლში 9 წლის არასრულწლოვანი პირმა პნევმატური იარაღიდან გასროლის შედეგად ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება მიაყენა 12 წლის არასრულწლოვან პირს.გამოძიება დაიწყო სსსკ 124-ე მუხლით .
2. 2021 წლის 16 აპრილის ავღაბრის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე 28 წლის შეირაღებული მამაკაცი საქართველოს ბანკში შეიჭრა და მძევლად 7 ადამიანი აიყვანა, 28 წლის კაცმა მაღაზიიდან ნისიად წამოღებული პნევმატური პისტოლეტის გამოყენებით განახორციელა ყაჩღური თავდასხმა. წინასწარი გამოძიება დაიწყო სსსკ 179 მუხლით.
3. 2021 წლის 4 იანვარს საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიხაში სტუმრად მყოფმა 10 წლის არასრულწლოვანმა პირმა პნევმატური იარაღიდან გასროლით გულმკერდის არეში ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიაყენა 9 წლის არსრულწლოვან პირს რამაც მისი სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. წინასწარი გამოძიება დაიწყო სსსკ 116 მუხლით.
4. 2021 წლის 27 აგვისტოს ღამით თბილისში ტრანსგენდერ ქალს პნევმატური იარაღიდან ესროლს და ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება მიაყენს. სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ეჭვმიტანილი მომხდარიდან რამდენიმე საათში ბრალდებულის სახით დააკავეს. ნივთმტკიცებად ამოღებული იქნა დანაშაულის ჩადენის იარაღი – პნევმატური პისტოლეტი”,
5. გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდაში მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში პნევმატური იარაღიდან გასროლიის შედეგად არასრულწლოვანმა ძმამ თავის არეში მძიმედ დაიჭრა 12 წლის არსრულწლოვანი და რომელიც 13 დეკემბერს იაშვილის სახელობის კლინიკაში გარდაიცვალა.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის თანახმად, გთხოვთ
მომაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხზე:

ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში გამოყენებული პნევმატური იარაღები იყო თუ არ
რეგისტრირებულები შსს სსიპ მომსახურების სააგენტოში, ასევე პნევმატური იარაღების
კალიბრი და მარკა.

პატივისცემით

პარლამენტის წევრი
თეონა აქუზარდია





საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA



MIA 8 22 00521687



28/02/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ თეონა აქუბარდიას

ქალბატონო თეონა,

თქვენი №12296/3-2/21 და №889/3-2/22 წერილების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ინიციატივით საქართველოს მთავრობამ 2022 წლის 17 თებერვალს დაამტკიცა „ტექნიკური რეგლამენტის – „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 14¹ მუხლით განსაზღვრული პნევმატური იარაღის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 მარტის №223 დადგენილებაში ცვლილებები.

ცვლილების თანახმად განისაზღვრა, რომ ფიზიკური პირის მიერ დასაშვებია სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული მხოლოდ იმ სანადირო ან სპორტული პნევმატური იარაღის ტარება, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში და რომელსაც აქვს შემდეგი ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები:

ლულის სიგრძე ან იარაღის საერთო სიგრძე	30 სმ.-ზე მეტი 60 სმ.-ზე მეტი
გასროლილი ჭურვის საწყისი ენერგია (გამოსახული ჯო ულეზში)	5 ჯოული და მეტი
ჭურვის ტიპი	პლასტმასის ან ლითონის ბურთულა/ტყვია
ჭურვის წონა	0.32 გრ. – 0.45 გრ.



ფიზიკური პირის მიერ **აიკრძალა** სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული იმ პნევმატური იარაღის ტარება, რომლის კონსტრუქციის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები არ შეესაბამება მთავრობის დადგენილებას ან/და რომელიც არ არის რეგისტრირებული შსს მომსახურების სააგენტოში. ამასთან, განისაზღვრა, რომ სამოქალაქო **ბრუნვაში არ დაიშვება** პნევმატური იარაღისთვის განკუთვნილი **4.5 მმ.-ზე მეტი კალიბრის ჭურვი**.

„სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სახადირო და სპორტული პნევმატური იარაღის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 5 დეკემბრის №963 ბრძანებით დეტალურად გაიწერა პნევმატური იარაღის შენახვისა და ტარების წესი. კერძოდ:

- პირი ვალდებულია, პნევმატური იარაღი შეინახოს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი უსაფრთხოება და გამოირიცხოს მასთან გარეშე პირთა დაშვება;

- პნევმატური იარაღის შენახვა უნდა მოხდეს დაკეტილ სათავსოში ან/და აღნიშნულ იარაღს დამაგრებული უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების საკეტი;

- პნევმატური იარაღის ტარება დასაშვებია მხოლოდ სპეციალური შალითით, განმუხტულ, ჭურვისგან განცალკევებულ მდგომარეობაში.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ზემოაღნიშნული წესების დარღვევისთვის დადგენილია პასუხისმგებლობის ზომები, მათ შორის გათვალისწინებულია თავად ამ იარაღის კონფისკაცია.

ამასთან, თქვენს მიერ წერილით მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით, სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ:

- 2021 წლის 16 აპრილს, სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს პოლიციის I სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №006160421003 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლის II ნაწილის „გ“ და „ი“ ქვეპუნქტით.

გამოძიების პროცესში ამოღებული იქნა ერთი ცალი შავი ფერის პისტოლეტი „EKOL Major Cal. 9 mm P.A.K.“, ერთი ცალი მჭიდით და ოთხი ცალი ვაზნით, რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული ბალისტიკური ექსპერტიზის თანახმად, არის ხმოვანი პისტოლეტი და არ მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და აღნიშნული ვაზნები არ მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას.

- 2021 წლის 27 აგვისტოს, სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს პოლიციის მე-7 სამმართველოში დაწყებულ იქნა

გამოძიება სისხლის სამართლის № 006270821001 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით.

აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეზე, ამოღებულ იქნა ქარხნული წესით დამზადებული 4,5 მმ კალიბრის პნევმატური იარაღი, მოდელი „IIM 49“. აღნიშნული იარაღი არ არის რეგისტრირებული.

სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად:

- 2020 წლის 18 აგვისტოს, სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №035180820002 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლით.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ამოღებულ თოფზე ჩატარებული ბალისტიკური ექსპერტიზის თანახმად, არის ქარხნული წესით დამზადებული, თურქული წარმოების 4,5 მ.მ კალიბრის „STRONG S-450“ მოდელის პნევმატური იარაღი, რომელიც ვარგისია გამოსაყენებლად და არ მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას. აღნიშნული პნევმატური იარაღი არ არის რეგისტრირებული;

- 2021 წლის 1 ნოემბერს, სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის გურჯაანის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №023011121002 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-117-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ და მეხუთე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ამოღებული ერთლულიანი პნევმატური იარაღი არის „QUATTRO Trigger“ ფირმის, მოდელი: „SaS SHOCK ABSORBER SYSTE“, კალიბრი: 177CAL 4.5 mm. აღნიშნული პნევმატური იარაღი არ არის რეგისტრირებული.

სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად:

- 2021 წლის 4 იანვარს, სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის საჩხერის რაიონულ სამმართველოში, 2021 წლის 4 იანვარს, დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №062040121001 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გამოძიების პროცესში, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებული იქნა 4,5 მმ კალიბრის, „HATASAN MOD.85 SNIPER“ მოდელის პნევმატური იარაღი, რომელიც რეგისტრირებული არ არის.

სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად:

- 2021 წლის 17 იანვარს, სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის წალენჯიხის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის

სამართლის №066170122001 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გამოძიების პროცესში, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებულ იქნა 4,5 მმ კალიბრის, „STRIKER“-ის მოდელის, დგუშ-ზამბარიანი მექანიზმის მქონე სპორტული პნევმატური იარაღი, რომელიც რეგისტრირებული არ არის.

ასევე, გაცნობებთ, რომ სამინისტროს სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - მომსახურების სააგენტო) ინფორმაციით, ფიზიკური პირის სახელზე მომსახურების სააგენტოს მიერ შესაბამისი პარამეტრების მქონე პნევმატური იარაღის რეგისტრაცია განისაზღვრება „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-19 მუხლის 3² პუნქტის და მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის – „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 14¹ მუხლით განსაზღვრული პნევმატური იარაღის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 მარტის №223 დადგენილების, „სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 5 დეკემბრის №963 ბრძანების და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად. მომსახურების სააგენტოში ფიზიკურ პირზე სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღების რეგისტრაცია სავალდებულოა თუ დაინტერესებულ პირს სურს „ტექნიკური რეგლამენტის – „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 14¹ მუხლით განსაზღვრული პნევმატური იარაღის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 მარტის №223 დადგენილების №4 დანართით განსაზღვრული ლულის სიგრძისა და გასროლილი ჭურვის საწყისი ენერგიის (გამოსახული ჯოულებში) ტექნიკური მახასიათებლის მქონე სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღის ტარების უფლების მოპოვება.

რაც შეეხება, ხმოვან (აკუსტიკურ) იარაღს, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „რ“¹ პუნქტის მიხედვით, ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღი არის – იარაღი, რომელიც კონსტრუქციულად დამზადებულია ან/და გადაკეთებულია მხოლოდ ხმოვანი (ფუჭი) ვაზნის სასროლად და გამოიყენება თეატრალურ წარმოდგენაში, კინოჩვენებასა და სატელევიზიო ჩვენებაში, ისტორიულ რეკონსტრუქციაში, აღლუმსა და სპორტულ ღონისძიებაში, რაც არ საჭიროებს სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ იარაღის შეძენა/შენახვის ნებართვის გაცემას ან/და რეგისტრაციას ამავე კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად.

პატივისცემით,

შ.ს.ს.

მინისტრის მოადგილე

ალექსანდრე დარახველიძე





889/3-2/22
02-02-2022

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ ვახტანგ გომელაურს

ბატონო ვახტანგ,

16-12-2021- ში გამოგზავნილ წერილზე N12296/3-2/21 ფიქსირდება 27-დღიანი ვადაგადაცილება, გთხოვთ დროულად მოგვაწოდოთ პასუხი.

ამასთანავე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის თანახმად კანონით დადგენილ ვადაში გთხოვთ დამატებით ინფორმაციას- 17 იანვარს წალენჯიხაში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ(შემთხვევით გასროლას მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა).

- იყო თუ არა აღრიცხული პნევმატური იარაღი, რომლითაც მოხდა უბედური შემთხვევა?
- უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით გეგმავთ თუ არა ამ საკითხის რეგულირებას?

პატივისცემით

პარლამენტის წევრი
თეონა აქუზარდია



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA



MIA 8 22 00521687



28/02/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ თეონა აქუბარდიას

ქალბატონო თეონა,

თქვენი №12296/3-2/21 და №889/3-2/22 წერილების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ინიციატივით საქართველოს მთავრობამ 2022 წლის 17 თებერვალს დაამტკიცა „ტექნიკური რეგლამენტის – „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 14¹ მუხლით განსაზღვრული პნევმატური იარაღის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 მარტის №223 დადგენილებაში ცვლილებები.

ცვლილების თანახმად განისაზღვრა, რომ ფიზიკური პირის მიერ დასაშვებია სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული მხოლოდ იმ სანადირო ან სპორტული პნევმატური იარაღის ტარება, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში და რომელსაც აქვს შემდეგი ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები:

ლულის სიგრძე ან იარაღის საერთო სიგრძე	30 სმ.-ზე მეტი
გასროლილი ჭურვის საწყისი ენერგია (გამოსახული ჯო ულეზში)	60 სმ.-ზე მეტი
ჭურვის ტიპი	5 ჯოული და მეტი
ჭურვის წონა	პლასტმასის ან ლითონის ბურთულა/ტყვია
	0.32 გრ. – 0.45 გრ.



ფიზიკური პირის მიერ **აიკრძალა** სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული იმ პნევმატური იარაღის ტარება, რომლის კონსტრუქციის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები არ შეესაბამება მთავრობის დადგენილებას ან/და რომელიც არ არის რეგისტრირებული შსს მომსახურების სააგენტოში. ამასთან, განისაზღვრა, რომ სამოქალაქო **ბრუნვაში არ დაიშვება** პნევმატური იარაღისთვის განკუთვნილი **4.5 მმ.-ზე მეტი კალიბრის ჭურვი**.

„სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 5 დეკემბრის №963 ბრძანებით დეტალურად გაიწერა პნევმატური იარაღის შენახვისა და ტარების წესი. კერძოდ:

- პირი ვალდებულია, პნევმატური იარაღი შეინახოს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი უსაფრთხოება და გამოირიცხოს მასთან გარეშე პირთა დაშვება;

- პნევმატური იარაღის შენახვა უნდა მოხდეს დაკეტილ სათავსოში ან/და აღნიშნულ იარაღს დამაგრებული უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების საკეტი;

- პნევმატური იარაღის ტარება დასაშვებია მხოლოდ სპეციალური შალითით, განმუხტულ, ჭურვისგან განცალკევებულ მდგომარეობაში.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ზემოაღნიშნული წესების დარღვევისთვის დადგენილია პასუხისმგებლობის ზომები, მათ შორის გათვალისწინებულია თავად ამ იარაღის კონფისკაცია.

ამასთან, თქვენს მიერ წერილით მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით, სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ:

- 2021 წლის 16 აპრილს, სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს პოლიციის I სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №006160421003 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლის II ნაწილის „გ“ და „ი“ ქვეპუნქტით.

გამოძიების პროცესში ამოღებული იქნა ერთი ცალი შავი ფერის პისტოლეტი „EKOL Major Cal. 9 mm P.A.K.“, ერთი ცალი მჭიდით და ოთხი ცალი ვაზნით, რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული ბალისტიკური ექსპერტიზის თანახმად, არის ხმოვანი პისტოლეტი და არ მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და აღნიშნული ვაზნები არ მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას.

- 2021 წლის 27 აგვისტოს, სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს პოლიციის მე-7 სამმართველოში დაწყებულ იქნა

გამოძიება სისხლის სამართლის № 006270821001 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლის პირველი ნაწილით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით.

აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეზე, ამოღებულ იქნა ქარხნული წესით დამზადებული 4,5 მმ კალიბრის პნევმატური იარაღი, მოდელი „IIM 49“. აღნიშნული იარაღი არ არის რეგისტრირებული.

სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად:

- 2020 წლის 18 აგვისტოს, სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №035180820002 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლით.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ამოღებულ თოფზე ჩატარებული ბალისტიკური ექსპერტიზის თანახმად, არის ქარხნული წესით დამზადებული, თურქული წარმოების 4,5 მ.მ კალიბრის „STRONG S-450“ მოდელის პნევმატური იარაღი, რომელიც ვარგისია გამოსაყენებლად და არ მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას. აღნიშნული პნევმატური იარაღი არ არის რეგისტრირებული;

- 2021 წლის 1 ნოემბერს, სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის გურჯაანის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №023011121002 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-117-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე“ და მეხუთე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ამოღებული ერთლულიანი პნევმატური იარაღი არის „QUATTRO Trigger“ ფირმის, მოდელი: „SaS SHOCK ABSORBER SYSTE“, კალიბრი: 177CAL 4.5 mm. აღნიშნული პნევმატური იარაღი არ არის რეგისტრირებული.

სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად:

- 2021 წლის 4 იანვარს, სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის საჩხერის რაიონულ სამმართველოში, 2021 წლის 4 იანვარს, დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №062040121001 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გამოძიების პროცესში, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებული იქნა 4,5 მმ კალიბრის, „HATASAN MOD.85 SNIPER“ მოდელის პნევმატური იარაღი, რომელიც რეგისტრირებული არ არის.

სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად:

- 2021 წლის 17 იანვარს, სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის წალენჯიხის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის

სამართლის №066170122001 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გამოძიების პროცესში, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოღებულ იქნა 4,5 მმ კალიბრის, „STRIKER“-ის მოდელის, დგუშ-ზამბარიანი მექანიზმის მქონე სპორტული პნევმატური იარაღი, რომელიც რეგისტრირებული არ არის.

ასევე, გაცნობებთ, რომ სამინისტროს სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - მომსახურების სააგენტო) ინფორმაციით, ფიზიკური პირის სახელზე მომსახურების სააგენტოს მიერ შესაბამისი პარამეტრების მქონე პნევმატური იარაღის რეგისტრაცია განისაზღვრება „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-19 მუხლის 3² პუნქტის და მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის – „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 14¹ მუხლით განსაზღვრული პნევმატური იარაღის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 მარტის №223 დადგენილების, „სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღის რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 5 დეკემბრის №963 ბრძანების და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად. მომსახურების სააგენტოში ფიზიკურ პირზე სამოქალაქო ბრუნვაში დაშვებული სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღების რეგისტრაცია სავალდებულოა თუ დაინტერესებულ პირს სურს „ტექნიკური რეგლამენტის – „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 14¹ მუხლით განსაზღვრული პნევმატური იარაღის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 მარტის №223 დადგენილების №4 დანართით განსაზღვრული ლულის სიგრძისა და გასროლილი ჭურვის საწყისი ენერგიის (გამოსახული ჯოულებში) ტექნიკური მახასიათებლის მქონე სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღის ტარების უფლების მოპოვება.

რაც შეეხება, ხმოვან (აკუსტიკურ) იარაღს, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „რ“¹ პუნქტის მიხედვით, ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღი არის – იარაღი, რომელიც კონსტრუქციულად დამზადებულია ან/და გადაკეთებულია მხოლოდ ხმოვანი (ფუჭი) ვაზნის სასროლად და გამოიყენება თეატრალურ წარმოდგენაში, კინოჩვენებასა და სატელევიზიო ჩვენებაში, ისტორიულ რეკონსტრუქციაში, აღლუმსა და სპორტულ ღონისძიებაში, რაც არ საჭიროებს სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ იარაღის შეძენა/შენახვის ნებართვის გაცემას ან/და რეგისტრაციას ამავე კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად.

პატივისცემით,

შ.ს.ს.

მინისტრის მოადგილე

ალექსანდრე დარაჩველიძე

